

ვინ ვარ, რად ვარ, რატომ  
ვარ ახლა...

ვალერი პატარიძე

ვალერი პატარიძე

ვინ ვარ, რაღ ვარ,  
რატომ ვარ ახლა...

თბილისი  
2018

ISBN 978-9941-27-730-6

© გ. პატარიძე, 2018

\* \* \*

ღამე დაგრძელდა, დაიხლართა, გაუძილურდა,  
ფიქრი მოზღვავდა და მოიყოლა კითხვების თქეში.  
ვიგონებ განვლილს დარდს და ტკივილს, შიშს და შეცდომას,  
ვხედავ მომავალს, ცუდად დახატულს, შავ-თეთრ ფერებში.  
პასუხებს ვეძებ ჩემს კითხვებზე – რისთვის ვარ ქვეყნად?  
შიშვლად მოსულის მისიაში რა იმალება?  
რას ვფაციფუცობ, რას ვჯახირობ ან რისთვის ვიბრძვი?  
თუ გარდაუვლად ბოლო არის გარდაცვალება.  
თუკი წუთია ეს ცხოვრება, რატომ არს მწარე?  
რატომ არ ცხვება ობლისათვის დაკრული კვერი?  
რატომ არს ლხენით ბოროტება, სიძვა და შური  
რატომ შეუშვეს შესაცდენად ედემში გველი?  
კითხვები მრავლობს, რული მიკრთის, უშმაკი მებრძვის.  
უფსარულს მაყურებს, უუნს მახურებს და მხრებზე მაზის,  
ყურში ჩამძახის: რა ძალა აქვს? ჯვარია მხოლოდ...  
გამოჩირებილი ორი ტოტი, დაგრეხილ ვაზის.  
რაა სანთელი, ან საქმელი, ან ეკლესია,  
რა არის ხატი, ათი მცნება, ან დედო ზარი.  
ქუხს და ქირქილებს, ხტის და ცქმუტავს, გონებას მირევს,  
მისი მძორიდან ამოსული ხმა შესაზარი.  
მამა და შვილი და სული წმინდა? კვლავ მისისინებს,  
მეოთხე მე ვარ, პირჯვრის წერას ჩემით ასრულებ,  
ყველა შენს ნაბიჯს, შენს მოქცევას სასწორზე დავდებ,  
დიდ სამსჯავროზე ამ ცხოვრებას რომ გაასრულებ.  
ღამე გაჯიქდა, არ ილევა, არ უნდა წასვლა,  
არც ეშმა მიდის, ნაპოვნი ჰყავს იოლი სული,  
კიდევ ცოტაც და აისრულებს რაცა სწადიან,  
თვალებში მიცქერს კმაყოფილი, გახარებული.

სისხლი გამეყინა, გული აღარ მიცემს, შიშმა ამიტანა.  
ღმერთო, დამიფარე, შემენიე, ნუ მტოვებ მარტო,  
მომეცი ძალა შევებრძოლო ქვესკნელის მეფეს,  
რომ ჩემი სული ცოდვილთ სიას არ მიამატოს.  
გაირიჟრაჟა, ძალა ვიგრძენ, თანაც სიმხნევე,  
ხელის კანკალით დავამაგრე ხატთან სანთელი,  
პირჯვარ ვისახე მუხლმოდრეკით განაწამებმა,  
მზეც აიწვერა და დაღვარა სხივთა ნათელი  
სიკვდილი მხოლოდ დასაწყისია უსასრულობის.  
მასშია ხიბლი, მასშია ძრნოლა, იდუმალება,  
იგია ჩვენი ნაცხოვრებლის შემფასებელი,  
მიტომ არს ბოლოს გარდაუვლად გარდაცვალება.

2014 წ.

\* \* \*

ვფიქრობ, არა ვარ ამ დროის შვილი,  
ღმერთმა დაუშვა შეცდომა ცაში  
კი ბრაზობს, მაგრამ ვერაფერს შველის,  
რომ ავერიე ვიღაცა სხვაში.  
იქნებ, ნადირად ვშობილიყავი,  
რომ მენანნალა უდაბურ მთაში  
ან კიდევ თევზი ვყოფილიყავი,  
თავის პატრონი ბობოქარ ზღვაში.  
ვინა ვარ, რად ვარ, რატომ ვარ ახლა?  
კითხვები მომდის უაზროდ თავში  
ამ დროის სულით პატიმარი ვარ,  
დამწყვდეული ვარ დიდ გალიაში.  
თავისუფლებას ვეძებ შებორვილს,  
დავეხეტები მთაში და ბარში,  
ხუნდები მინდა რომ მოვაშორო,  
ამას ვოცნებობ სიზმარში, ცხადში.

არავის ესმის ჩემი ოცნება,  
ყველა მიყურებს, როგორც მგელია,  
რაღას მოითხოვს, მეტი რა უნდა,  
ან გიუი არის ან სულელია.  
აქ ყველას მოსწონს დიდი გალია,  
მაღალი არის, ლამაზი არის, შეღებილია,  
მშვენიერია,  
რა მოხდა, თუკი კარი არა აქვს,  
აქვე შიგნითაც ყველაფერია.  
შუშის თვალები, ტაშის კვრა, ცეკვა,  
ფეიერვერკიც მრავალფერია,  
გალია ბრწყინავს ათას ფერებით,  
ყველა უაზროდ ბედნიერია.  
არა, არა ვარ ამ დროის შვილი,  
მართლაც დაუშვეს შეცდომა ცაში,  
იქნება სჯობდა ნადირ-თევზობა  
ან შევეცვალეთ ვისამე სხვაში.

\* \* \*

ჩემიანებმა მომხდურთ კვლა ვიცით, დაწყევლაც ვიცით,  
რომ „მოკვდეს მტერი“,  
არასდროს ვიტყვით, შვილი მოუკვდეს, მოდგმის გაწყვეტით  
ვართ ბედნიერი.  
ჩვენს ქუდს სხვის ქუდზე არასდროსა ვცვლით, მწყურვალი  
ვიყოთ, ანდა მშიერი.  
წაქცეულ კაცზე ხმალს არ აღვმართავთ, ამიტომაც  
ვართ უფრო ძლიერი.  
სიმღერით ვიბრძვით, მშვიდობისას კი გულიდან მოდის  
მრავალუამიერი,  
ნეტავ, იმდენად გავზრდილიყავით, არა გვყოფნოდეს  
დასალიერი.

ჩვენი ლამაზი სამშობლოსათვის, უფლისა მუდამ  
ვართ მადლიერი  
ასეთები ვართ, ასე ვიყავით, ასე ვიცხოვორებთ  
ქართველი ერი.

2015 წ.

\* \* \*

თუ არ ოცნებობ მწვერვალზე ასვლას, არ გიფიქრია  
ვარსკვლავთა კრეფა,  
ვერ წარმოიდგენ მთის ხელა იყო, არ განგიცდია  
ჩიტივით ფრენა,  
არ მოგზაურობ აფრებგაშლილი, არ გისურვია  
მეფურად ლხენა.  
არ გიბრძოლია დიდგორის ველზე, არ მოგიქარგავს  
ქართული ენა.  
თუ ვერ შეიგრძენ მომავლის სუნი, არ დაგიპყრია  
მსოფლიო სცენა,  
თუკი არ ფიქრობ, მე ამას შევძლებ, თუკი არა გაქვს  
უტეხი რწმენა,  
შენი სიკვდილის მეორე დღესვე შეშრება თვალთვან  
ცრემლების დენა,  
შენს სახელს არვინ არ გაიხსენებს და იქ მოგიწევს  
ამის მოთმენა,  
რადგან დევივით არ გიცხოვრია, დარჩები კვლავაც  
ვით ცეროდენა,  
სიყვარულსა და სილალეშია სულის ცხონება და  
გადარჩენა  
რწმენა გჭირდება, თუნდაც მცირედი, სულ პანაწინა  
ფეტვისოდენა.

2015 წ.

\* \* \*

არ უნდა ქვეყანას ჭკვიანი კაცი,  
ურჩევნის ჰყავდეს უტვინო ვაცი,  
ვაცი წინ მიდის წვერის ცანცარით,  
ცხვარიც თან მისდევს თავის ქანქარით.  
ჭკვიანი კაცის აზრია მძიმე,  
თავშესაქცევად არა ვარგია  
მისი ქცევა და მისი ნაცხოვრი,  
ცხვრის ფარისათვის მხოლოდ ბარგია,  
ვაცი კი, ვაცი, მდელოს გვპირდება  
ყვავილოვანს და ბალახიანსა,  
შეხედეთ, როგორ კაცურად გვიძლვის,  
ვენაცვალეთ ამ ბარაქიანსა,  
ამოიბლავლებს ცხვრის ფარა ერთხმად,  
წრეს შემოირბენს, იქვე ჩერდება,  
წარმატებისგან თავბრუხვეული,  
ვაცი ამასაც არა სჯერდება,  
დაიკიკინა საბრალო ხმაზე,  
ცხვარს რომ ჩაესმის, როგორც მეხია,  
თუ დამიჯერებთ, ბედს მოეწევით,  
ააბაკუნა ოთხთავ ფეხია,  
ლამე თქვენსავე დრემლაზე დარჩით,  
ფეხი გექნებათ უფრო თბილადა,  
ტერიტორიას ნუ მოედებით,  
ჭყლეტვით იქნებით, უფრო რბილადა.  
ნახავთ მდელოს და წყაროს ანკარას,  
დაგეძინებათ როცა ტკბილადა,  
მძინართ მე თვითონ მოგიპატრონებთ,  
თქვენს დარდს და ტკივილს ვიხდი წილადა.  
ცხვარმაც იცისო, გაცხარებაო,

მე ჩვენს ფარაში ეს ვერა ვნახე,  
ვაცების ძებნით გაბრუებული,  
ყოველთვის უგებს თავის თავს მახეს.  
როცა ჰყავს ქვეყანას უტვინო ვაცი,  
ცხვრის აწმყო არის მკრთალი და ბაცი,  
მომავალი კი ეშმას წილია,  
მგლების ხროვაზე შესანირია.

2015 წ.

\* \* \*

გუშინ ჩვიდმეტის ვიყავი, სად გაქრა ბიჭო ის წლები,  
როგორ გაფრინდა ცხოვრება, რა წუთიერად ვძერდები.  
მუხლმაც ისწავლა ღალატი, აღმართს ასჯერა ვჩერდები,  
თვალში სინათლემ მოიკლო, ვერცხლისფერადა  
ვთეთრდები,  
სიბერეს თავის ხიბლი აქვს, ასე ცდილობენ მაამონ,  
სიტყვების კორიანტელით გულს მომაფინონ მალამო.  
მეუბნებიან დრო, არის უდრტვინველი და საამო,  
რა მოხდა მერე, შე კაცო, თუკი გიმტყუნა ძალამო.  
მინდა კი წყნარად ცხოვრება, ან უდრტვინველად  
სიკვდილი,

განა არ ვიცი, რომ კატის საბძლამდე არის სირბილი,  
რის მაქნისია ნაცხოვრი, წასულს არ გერგოს ტირილი,  
შენმა სიკვდილმა არავის გულს არ მოჰვაროს ტკივილი,  
მოკლე სიცოცხლე სჯობია ქარცეცხლიანი ლამაზი,  
როგორც, რომ ცაში მიმინო, ან მოხდენილი გავაზი,  
ჩემგან ნათელი ბილიკი, რომ იყოს რკინა ალმასი,  
სიკეთეს არ სთეს, იცოდე, არ ღირხარ ერთი აბაზი.  
როცა სიკვდილი მესტუმრის, ბევრ ცოცხალს  
ვჯობდე მკვდარია,

ასეთი მოკლე სიცოცხლე ათას წლის დასადარია, როცა ჩემს განვლილ ცხოვრებას არ აქვს არცერთი ბზარია,

სხვისა სუფრაზე ჩემს ხსოვნას, რომ სვამენ ფეხზე მდგარია,

ქვეყნად ასეთი ნაცხოვრი მტრისთვისაც გასახარია, უფალო, შენი ნებითა, გამიღე გულის კარია.

2015 წ.

\* \* \*

ვეცადე ლექსად მექცია ჩემი გრძნობების კრებული, მინდოდა მეთქვა, მიყვარხარ, შენა ხარ ჩემი რჩეული, ხელებზე ჩამომეშალა თმები ლამაზად ხვეული, მკერდში ჩამეკრა სათუთად შენი პატარა სხეული.

ვოცნებობდი და ვლალობდი, ვითარც მკითხავი გრძნეული, მსურდა, სამყარო მეჩუქნა ყველასგან გამორჩეული, ცამდე ასული მთებით და მდინარე გადარეული,

სადაც არცერთი სულდგმული არ იარება ეული, კეთილ სურვილთა ახდენა, სადაც ბუნების წესია, სადაც ყოველი არსება თავისი თავის მწყემსია, სადაც შავბნელსა სიკვდილსა შიში ვერ დაუთესია, სად სიყვარულით სიცოცხლე კაცთაგან დანაწესია, ასეთი სამყაროსათვის გაგიმეტებდი დედოფლად, მონათაც დაგიდგებოდი, შენთან რომ ვიყო მეზობლად, მხოლოდ მითხარი და მტერსაც გვერდით დავისვამ მეგობრად, ერთ წუთში მებალისაგან ვადავიქცევი მეომრად.

ვეცადე ლექსად მექცია შენთვის სათქმელი სიტყვები, როგორ ვოცნებობ, ყოველდღე ცხადად რომ მექცეს სიზმრები, ვცდილობ ქარს გამოვატანო ზღაპარნარევი ფიქრები, ალბათ სიცოცხლის ბოლომდე შენი ნატრული ვიქნები.

2015 წ.

\* \* \*

აქ რას აკეთებ უცხო ქვეყნელო, რატომ მოითხოვ ჩემგან  
შენდობას?  
ეს ხომ არ არის შენი საბრძოლი, არც ძმები გყავს რომ  
სჩემობ მეობას  
რას ფაციფუცობ, რა ცუდად იღვნი, რა ხშირად სინჯავ ჩემსა  
მხნეობას,  
ძმობას ფიცულობ, მაგრამ ვერ ითმენ, როდესაც მცირეს  
ხედავ ზეობას.  
ვიცი ყოველთვის ბრძოლას მომიგებ, მაგრამ გახსოვდეს  
ომი ჩემია  
ტყუილად გგონია, რომ წინაპრისგან, ალარაფერი შემომრჩენია  
სამშობლოსათვის, შვილებსა ვწირავთ, სადმე გინახავს, ანდა  
გსმენია?  
ერთი მუჭა ვართ, მაგრამ ბევრისთვის გვითენებია შავად  
დლენია,  
ასე, როცა ჩემთან მოდიხარ, მუდამ გახსოვდეს ერთი  
რამ „დიდო“,  
გენში მაქვს ვალად, სტუმარ-მასპინძლის, წესი ადათი, რომ  
უნდა ვზიდო,  
სტუმრად მობრძანდი, ლხინში ქეიფში არ დამზოგო, და არ  
დამერიდო,  
არ მინდა შენგან ტაშის კვრა, ხვევნა, არც იმასა გთხოვ, მაქო,  
მადიდო.  
მაგრამ გახსოვდეს, რომ ომში ვმლერით, ყანაში თოხთან  
მიგვაქვს ხმალია,  
ვისაც კი ჩვენი სისხლი სწყუროდათ, ყველას დავუმსეთ  
ორთავ თვალია,  
დავამიწეთ და გადავაშენეთ, საქმე დავმართეთ შესაბრალია,  
ასეთები ვართ, ჩვენ ვართ ქართველნი, ჩვენი ხვედრი და  
ჩვენი ვალია.

2015 წ.

\* \* \*

საქართველოა არნივების აკვანი წმინდა  
და უიმისოდ ქვეყანაზე მე არა მინდა,  
საოცრება ხარ დედამიწის, გფარავდეს ღმერთი,  
დედავ სამშობლოვ, ძლიერ მიყვარხარ შენ ერთადერთი.  
ბევრჯერა სცადეს, დაგეჩოქა, ქედი გეხარა,  
ცრემლი გდენოდა, მიტოვებულს არ გაგეხარა,  
ხმლები გყუნავდნენ, შანთით გდალავდნენ, არა დრკებოდი,  
შვილებს გიკლავდნენ, ცოცხლად მარხავდნენ, არა კვდებოდი.  
ქართველები ვართ, მთელი გულით გვიყვარს მამული,  
ერთობამ იხსნა გაქრობისაგან მიწა ქართული,  
წმინდა ილია მართალის გზაზე ვიაროთ ყველამ,  
მტერი გვაძულა, მოძმე გვაყვარა ლაზარეს ენამ.  
დიდი დავითის დროშა იყოს მფარველი კალთა,  
თანაც გვახსოვდეს სიკვდილამდე მიწას მავალთა,  
სამშობლო არის ქვეყანაზე მხოლოდ ეს ერთი,  
მას გავუფრთხილდეთ, ქართველებო, ჩვენთან არს ღმერთი.

1993 წ.

\* \* \*

მითქვამს, რად უნდა კვდებოდეს განურჩეველად ყველაო,  
რატომ არ უნდა ხდებოდეს ბავშვი პაპისა ხელაო,  
გრაკლი და კვრინჩხი ხარობდეს, ხმებოდეს მუხა, თელაო,  
ლომსა ბრძოლაში დაჭრილსა სჯიჯგნიდეს ტურა-მელაო.  
ვერა გავუგე ბუნებას, ვერა ვხსნი მისსა კარსაო,  
ხან ისე ურევს ცოდვა-მადლს, თავსა მცემს შიშის ზარსაო,  
ერთი კი ვიცი ჭაპანი ვერ დაადედლებს ხარსაო,  
ხშირად სჯობს კაცის საფლავი მოსიარულე მკვდარსაო.

2015 წ.

\* \* \*

„თრიაქით გაბრუებული მტერი მოუკლავს ქართველსა“,  
სუფრას შევესწარ თამადამ წინაპართ ხსოვნა გალექსა,  
შემოგვიძახა, სპარსელებს ვხოცავდით, როგორც ტილები,  
თურქებს, მონღოლებს, არაბებს ვუსრულეთ დანაპირები.  
თითო ხმლის შემოქნევაზე ათობით თავი ცვიოდა  
პაპანაქება სიცხეში მტერს შიშისაგან სციოდა,  
ფიალას ხელი უცვალა თამადამ სიტყვა გალია,  
კმაყოფილმა და ამაყმა ღვინო ბოლომდე დალია,  
ჩვენი რა შესაბრალია დიდგორის ბრძოლის მნახველი,  
მარტყოფში მუსრის გამვლები გახელებული ქართველი,  
განა სამასი კრწანისთან ლაჩართა ხელით დაეცა,  
გინახავთ სისხლით ნახვეჭი, მომხდურს ფეშქაშად გაეცა,  
ლომი ლომს გლეჯდა და ფლეთდა, ძვალსა სწვდებოდა კბილები,  
ნესტოდაბერილ ხარს გავდნენ ორივე მხრიდან გმირები  
მგლებსა ვხოცავდით, არწივებს, ტოლს არ გვიდებდა მავანი,  
აუგს ნუ იტყვი ვაჟყაცზე, არ იცი ავანჩავანი.

2015 წ.

\* \* \*

რას შემომცქერი სიკვდილო, ხარბი მუშტარის თვალითა,  
გულს ვერ მოგილბობ დვინოთი და ვერც ლამაზი ქალითა,  
პირისპირ რომ ვერ გებმები, ვივსები ბოლმით ბრალითა,  
ნებით შენ რას გამოგყვები, მაინც წამიყვან ძალითა.  
ვიცი ერთ წუთში მომიგებ, უთანასწორო ბრძოლასა,  
შენც ვაჟყაცები გირჩევნის, ლონდრე ბოტების ყოლასა,  
დედას შვილს ართმევ მუხთალო, რა ვუთხრა ბედის სრბოლასა,  
რაც რომ სანთლები ჩააქრე, ყველა ისევა ბოლავსა.  
ვერც გემოვნებას გინუნებ, გვარჩევ, როგორცა გწადიან,  
ბუნება გამოცანაა, ცხოვრება მისი ფანდია.

რამდენიც უნდა ეცადო, მაინც გაქვს დიდი დარდია,  
სულს ხომ ვერა კლავ ბეჩავო, ლეში ნეტა რად გარგია.  
შენს ჩამქრალ სანთლებს სიკვდილო, ნაპერწკალი აქვს პატარა,  
ჩვენ კვლავაც დავიბადებით, კვლავაც ვიცხოვრებთ, აბა რა,  
რამდენიც გინდა აფუჭე ამ ქვეყნის დროის ზამბარა,  
სული წმიდა მშობს იმ ქვეყნად, სული წყაროზე ანკარა.

2015 წ.

\* \* \*

ქართლის ცამ მოიქურუშა,  
ღრუბელ გადიკრა შავიო,  
ყოველი მხრიდან მოისმის  
ტურის ყმუილი ავიო.  
მინდვრად ლალობენ მხეცები,  
ლაუგარდს პატრონობს ყვავიო,  
თვით მზეც კი აღარ ანათებს,  
არა აქვს მაგის თავიო.  
წყლისა მაგივრად ხეებსა,  
ესხმება სისხლის ღვარიო.  
ქართველთ მინაზე სიმღერით  
სეირნობს მტრისა ჯარიო,  
ინგრევა ეკლესიები,  
დადუმდა დედო ზარიო.  
დაეპატრონა ქვეყანას,  
სიკვდილი შესაზარიო.  
დაუანგდა უპატრონობით  
თოფი, ხმალი და ფარიო,  
წინაპართ სისხლით მოპოვილს  
ღმუილით ფანტავს ქარიო.  
გარს მოსდებია ნასახლარს,  
სარეველა და ნარიო.

კატები ყეფენ ძალლივით,  
გადედლებულა ხარიო.  
ლმერთისთვის ქართველთ სიბრმავე  
გამოუცნობი არიო.  
ამას ამბობდა მოხუცი  
ჩამჯდარი ხისა ძირსაო,  
ყველამ ისმინოს, გაიგოს,  
ვინ გამიკერავს პირსაო,  
მალულად კაცის დაძრახვა  
ასეთი ჭირიც გვჭირსაო,  
ცრემლი უხშობდა სინათლეს  
მის თვალებს ანატირსაო.  
აგონდებოდა წარსული,  
როს ლესდა ხმლისა პირსაო.  
როცა ქართველნი მამაცად  
უმკლავდებოდნენ ჭირსაო.  
როდესაც მათი მარჯვენა  
ამტვრევდა ქვას და კირსაო  
და როცა თავად სიკვდილი  
წარმოაჩენდა გმირსაო.  
მათ საქმეების ხსენება  
მართლაც ერთ რამედ ღირსაო.  
სახელები და საფლავნი  
ნაკურთხი არის ღვთისაო,  
ვისწავლოთ მათი ცხოვრება  
ჩვენივე თავისთვისაო.

2011 წ.

\* \* \*

როცა მოვკვდები, არ გეგონოთ მორჩია დამთავრდა,  
თვალი დახუჭა და გაიხურა ამ ქვეყნის კარი,  
ნუ გაიფიქრებ, ბრალი იმას, ვინც მინაში წევს,  
მისთვის არ არის მზე და მთვარე, წვიმა და დარი.  
ცოდვა ის არის, ვინც ცოცხალი მკვდრებში ითვლება,  
ვინც ვერ დარეკა სიცოცხლეში თავისი ზარი.  
ის შეიცოდეთ, ვისი ყოფნაც არავინ იცის,  
მათთვის იტირეთ, მათვის ღვარეთ ცრემლის ავდარი.  
გლოვა არ მინდა, სანთელსა გთხოვთ და ჭიქა ღვინოს  
პირ-ჯვარის წერით, რომ შევალო იმ ქვეყნის კარი.  
თან რაც წავიღე, იმასვე ვტოვებ ჩემს განვლილ გზასა,  
ძალზე ვცდილობდი, არ ჰქონოდა არცერთი ბზარი.  
არ მეშინია იმქვეყნიური გასამართლების,  
ზურგზე მკიდია ორი გუდა, ცოდვა და მადლი.  
მსუბუქი არის ცოდვის გუდა, გრძნობს ჩემი სული,  
ღმერთო, ძლიერო, სამოთხის კარს ნუ დამამადლი.

2013 წ.

\* \* \*

ყველაფრისგან დალილს სიკვდილი მომინდა სურვილად,  
ტკივილს ვეღარ უძლებს ჩემი ბებერი სხეული,  
ვხედავ, ნელ-ნელა როგორ ქრებიან ნაცნობი სახეები,  
სულ სხვა თაობა, უცხო ქცევა, ვრჩები ეული.  
ცაში ბედის მწერალს ძალზე გაუგრძელდა ჩემი ბედის წერა  
ჩანს, არ ეზარება მელანში წობა გრძელი ბატის ფრთის.  
მტანჯავს, მაწვალებს, არ მიმართლებს, ხან ცრემლსაც მადენს  
და რწმენას მართმევს დაბლა დედამიწის, ცაში – ღმრთის.  
წასვლა მენატრება, თანაც მიძნელდება, უფრო მეშინია.  
კარის შეღება, რომლის მიღმაც შეუცნობელია.  
უკან ვიყურები, ნაცოდვილარ გზაზე სინანული მტანჯავს,  
ბევრი ჩემი ქცევა, ჩემი ნაცხოვრები, შეუნდობელია.  
სწრაფად იწურება მოცემული ვადა ყველა მოკვდავისთვის.

ძალზე ძნელი არის, ეშმას მოერიო მისი საცდურებით.  
მოკლე წუთისოფელს მუდამ თან დაჰყვება ცოდვის აჩრდილები.  
თითქოს, გარბიანო, ისე სწრაფად ქრება დღენი მაცდურები.  
როცა მომკითხავენ ყველას სათითაოდ ამქვეყნიურ წუთებს,  
ხელი არ მექნება ყურის დასახშობად, სახის დასაფარად.  
ფეხი არ მექნება, მუხლზე დასადგომად ღმერთის სადიდებლად.  
ცოდვა გადასწონის პინას სასწორისას ეშმას გასახარად.  
ეს ის სასწორია, სადაც ვერ იქურდებ, სადაც ვერ იყიდი,  
აქ არც სიკეთეა და არც საჩუქარი, არვის ეცოდები,  
მხოლოდ სამართალი ზუსტად მოგიწონის ცოდვას და ნაკეთებს.  
აკანკალებული ერთი მარტოსული შენს მსჯავრს ელოდები  
და რაც მოგესჯება, სრულად მოგეზღვება შენი ნაცხოვრები,  
გარდაცვალებული ცოდვათა შენდობას ნუღარ ელოდები.

2012 წ.

\* \* \*

როდესაც ლექსს ვწერ, ღმერთთან ვსაუბრობ,  
ცაშია ჩემი აზრთა საუნჯე,  
კალამი მაინც თავისას იზამს,  
თუნდაც რომ ენით სრულად დავმუნჯდე.  
პატარა კალმის ძალავ უსაზღვრო,  
საწყალო კაცის იმედო, მადლო,  
მართალი კაცის მეტო სიმართლევ,  
სიყალბის მქმნელთა მსჯელო უბადლო,  
ღმერთო, რადგანაც კალამი მომეც,  
ძალაც მომეცი, ვამსხვრიო ბნელი,  
სიცრუის გზაზე მართალი ვთესო,  
ვიცი, რომ არის სავალად ძნელი.  
ჩემო კალამო, ვისთვის წრიპინავ,  
ვისთვის ბულბულო მრავალხმიანო,  
რადგანაც ღმერთმა ასე ინება,  
მინდა, რომ კიდევ, აგახმიანო.

2011 წ.

\* \* \*

სიცოცხლე დიდხანს ყოფნას არ ნიშნავს,  
სიკვდილი ყველას გვაერთიანებს,  
სულ ყველა ვალებთ ერთ კარს ცალ მხარეს,  
რომ სამუდამოდ გავერთიანდეთ.  
სიცოცხლის არსი სიკვდილში არის,  
სიცოცხლე ხიბლია გარდაცვალების,  
სიცოცხლის სურნელს სიკვდილი აკმევს,  
სურათებს ხატავს ფერისცვალების.

2012 წ.

\* \* \*

სანამდის ევას ვაშლს შეაჭმევდნენ,  
იქ მინდა ვიყო, ედემის ბალში.  
სურვილთა სუნით გაბრუებული  
დავეცეცები ლილისფერ ჯანლში.  
მინდა რომ გული დარდით ავივსო  
და ვნახო დედა ჩაცმული თალხში,  
ბრძოლაში ცხრა ძმის დანატირალი  
მიფართატებდა უშვილოდ სახლში.  
თევდორე მინდა გულში ჩავიკრა,  
ეული ბერი უცნობი ხალხში,  
ცოცხლად სიკვდილზე გამარჯვებული  
ხმლებით აკუნეს კველთასთან ბალში.  
მარტყოფის ბრძოლას მინდა დავხედო,  
აპარნის გორას, ულევრის მინდორს,  
დიდ მოურავის ნამტირალ თვალებს,  
პაატას ცოდვა მან უნდა ზიდოს.  
მკერდამოშანთულ ქართველ დედოფალს  
აღსავლის კარი დაუგდეს ღია,  
ღვთისმშობლისა და ღმერთის ლოცვაში  
ტკივილი ალბათ არც გაუგია.  
ნახეთ, სამასი ერთივით ფიქრობს,

ერთივით იბრძვის, ერთივით კვდება.  
არცერთმა იცის, გარდაცვალებულთ  
სასუფეველი რომ ელოდება,  
ზეცამ ნაძონძი ღრუბელ იფარა,  
ქართველთა გლოვა და ტირილია,  
სვეტიცხოველშიც ჩაიხა ფარდა,  
ნინამურთან რომ მოკლეს ილია.

დავიდარდე და ცრემლიც მომადგა  
ფესვთა გრეხილში ვფათურობ ფრთხილად,  
ნინაპართ ძვლებზე ამოზრდილ ხის ქვეშ  
ლამეებს ვფურცლავ, უძილოდ, ფხიზლად.  
თუნდაც ედემში სულ მარტო ვიყო,  
ცოდვის გარეშე და ღმერთთან ახლოს,  
სიცოცხლეს მივცემ, აკრძალულ ნაყოფს  
ხელი არავინ, რომ აღარ ახლოს.  
სანამდის ევას ვაშლს შეაჭმევდნენ,  
იქ მინდა ვიყო ედემის ბალში.

2014 წ.

\* \* \*

გარდაცვალების ჟამი არ მოდის,  
იგი სულ მუდამ ყურთან გვაზია,  
როცა მაღულად სიკვდილზე ვფიქრობ,  
ღმერთო, სიცოცხლე რა ლამაზია.  
რა ლამაზია ყოველი წუთი  
და ყოველი დღე ოქროს ფასია,  
დაკარგულ დროს ხომ ვერ დააბრუნებ,  
დრო არის ჩვენი მოდგმის არსია.  
სან ტკბილი არის და სანაც მწარე,  
სან ვიტყვი, ვცოცხლობ, რისი ფასია,  
მაგრამ როდესაც სიკვდილზე ვფიქრობ,  
სიცოცხლე მართლაც, რომ ლამაზია.

2014 წ.

\* \* \*

შემომეძარცვა სხეულის ხიბლი, ჭირმა თავისი წილი წაიღო,  
წუთისოფელი ერთ წამად იქცა, დაპარატავდა შუად გაიყო.  
ჟამის ჟამობით ერთგული ძმები დრომ და ცხოვრებამ  
მსხვერპლად გაიღო.

როგორ ვიცხოვრე? მომავლისათვის ძნელად სათელი ვიწრო  
გზა იყო.

სხვას ვჭირდებოდი, სხვა მჭირდებოდა, მხარის მიცემით  
ვამჩნევდით ხნულებს,  
ჩვენი ნათესი ილენებოდა და მათი მთები შეძრავდა სულებს,  
გამეტებული სიყვარულისთვის დიდს და პატარას ვჩუქნიდით  
გულებს.

ჩვენ ძმაკაცობას ომში ვჭედავდით, მშვიდობისას კი ვნათლავდით  
წულებს.

ახლა თქვენა ხართ, თქვენი ჯერია, თქვენი საწევი უღელი გელით,  
ნუ გაახარებთ ეშმაკთა მოდგმას, სამოთხეში რომ იმარჯვეს  
გველით,

თქვენზე მოსული მტერი მოგეკლათ ლომის გულით და კაცური  
ხელით,

ამქვეყნად ყოფნა არ იზომება დიდხანს ცხოვრებით, სიცოცხლით  
გრძელით.

2015 წ.

\* \* \*

სიკვდილი რაა ჩემო ძმობილო, როგორ იცხოვორე, შენ ის მითხარი, შინაურს თვალზე ცრემლი სდენოდა, თუ მტერს გაპპოდა გულის ფიცარი.

იყავი როგორც ცაში მიმინო, თუ დამწყვდეული ქათმის ციცარი. თუ როგორც ძაღლი ლუკმისთვის მყეფი და არა მგელი გულუშიშარი.

ან ის მითხარი, ვის მეგობრობდი, ვისთან გაყავი ლხინი თუ ჭირი, ვისთვის შეგეძლო ძმა დაგეძახა, არ შეგერცხვინა არვისთან პირი. იყავი ბრძენი, კვალზე მავალი, თუ მოჩერჩეტე უბრალო გზირი, მერე მე გეტყვი, შენ თვითონ ვინ ხარ, აყალო მინა თუ ქვა და კირი.

2015 წ.

\* \* \*

ქართველო კაცო, ჩიტო ბელურავ,  
ერთგულო შენი მთისა და ბარის,  
ბელურასავით თავდადებულო,  
გამძლეო ყინვის, თოვლის და ქარის.  
ნაწამებო და სისხლადქცეულო,  
შენი სამშობლო მხოლოდ აქ არის,  
თბილ ქვეყნებისკენ გაფრენა გიმძიმს,  
არ გიყვარს უცხოდ შელება კარის.  
სხვისას არ ითხოვ, შენსას არ მისცემ,  
თუნდ თავს დაგეცეს მილეთის ჯარი.  
შენი საზიდი გახადა ღმერთმა  
დედა ღვთისმშობლის ნაკურთხი ჯვარი  
და სისხლის ფასად პატრონობ ყველას,  
მტრისთვის დაგიცემს შიშისა ზარი,  
ქვეყნისთვის გულის გამმეტებელო,  
გახსოვდეს შენთან უფალი არის.

2015 წ.

\* \* \*

გთხოვთ დააფასეთ ახალგაზრდობა, რადგანაც იგი მოკლეა ძალზე,  
გთხოვთ ჩაიკარით გულში ერთურთი, ძმობას, სიკეთეს ნუ  
გასცვლით სხვაზე.

თუ ადამიანს შეცდომა მოსდის, ხელს ნუ გაიკრავთ იმ ნუთას  
ხმალზე,

სიკეთე ქმენით, მადლიცა ქმენით, მარილმოყრილი დადევით ქვაზე.  
თქვენს საკეთებელს ნუ გაექცევით, ხელს ნუ დაიბანთ  
საბრალოდ სხვაზე,

მთელი ქვეყნისა სიმდიდრე არ ღირს ერთი ბრძენებულის უბრალო  
ჭკუაზე.

დაბნეულს, მშიერს, ხელგამოშვერილს, ნუ მიატოვებთ მგლის  
ლუკმად გზაზე.

თუკი იცხოვრებთ ლამაზ ცხოვრებით, დიდნი იქნებით  
უცილოდ მთაზე.

\* \* \*

ძირძველო მიწავ, ადგილო ქვიანო,  
სიძველის ადგილო, ძველო აკრიანო,  
მთაო იალნო, თაღებიანო,  
ბებერო კლდეო, ღარებიანო,  
მინდორ-ველებო ბარაქიანო,  
მდინარეებო ხალისიანო,  
ხან ქარიანო, ხანაც მზიანო.  
ზამთარში თეთრო და თოვლიანო,  
გამოზაფხულზე ხალიჩიანო.  
მამა ანტონე, შენ მადლიანო,  
დედა ღვთაებავ, სათნოიანო,  
აპარნის ძალო, სანთელ-ჯვრიანო  
ნატანჯო მიწავ და სისხლიანო  
სამშობლოსათვის ფარ-ხმალიანო,  
ხანაც მამლუქო, თვალცრემლიანო  
კარგო მებრძოლო, სახელიანო,  
ეკლესიურო და ქრისტეანო,  
ჩემო მარტყოფო, ქართველიანო.

2014 წ.

\* \* \*

სანამ ვიცოცხლებ, სანამ მეტყვის მიქელა მორჩა,  
დრო მოგივიდა, მიდექ-მოდექ, შეჰკარი ბოლჩა  
სანამ ქალები მიტირებენ მოთქმა-გოდებით,  
მერე კი საფლავს აავსებენ ქვით და ლოდებით,  
სანამ თამადა ლამაზ სიტყვით გზას დამილოცავს  
და ფეხზე მდგომნი სინანულით შესმენ ფიალებს,  
სანამდის ქვაზე დახატავენ გაყინულ სურათს  
ან ცოლის თვალზე მწუხარების ცრემლი ციალებს,  
უნდა მოვასწრო წინაპრების სულთა ცხონება,  
ვშვა მომავალი და ვასწავლო კაცად ცხოვრება.  
უნდა გზა ვთელო გაუვალი, სხვას ვუადვილო,  
მშიერს ვაჭამო, მათხვარს მივცე, ვსვა უადგილო.  
ბოროტს სიკეთით ვუხადოთ, ობლებს ვუჩვენოთ გული,  
სახელი გვქონდეს სახვეჭრად, არა ოქრო და ფული,  
ვიცხოვროთ ისე, რომ გვფარავდეს დედა ღვთისმშობლის  
კალთა  
და თან გვახსოვდეს საუკუნოდ ჩვენ წარმავალთა –  
შეუჩერებლად მიფრინავს, დრო ამ ქვეყანის მფლობელი,  
ათასი წელიც რომ ვიყოთ, მაინც წუთია სოფელი.

2014 წ.

\* \* \*

როს დაინახავ სიკვდილის აჩრდილს,  
როცა ასაკი დაგაძაბუნებს,  
როდესაც მუხლში ძალას დაკარგავ,  
როცა სიბერე მოგიკაცუნებს,  
მაშინ მიხვდები, რატომ ხარ ქვეყნად,  
მიხვდები, მხოლოდ წუთი იცოცხლე.  
გაიგებ, როგორ უნდა გიყვარდეს,  
ისწავლი, რაა თურმე სიცოცხლე,  
ხედავ შეცდომებს, დაშვებულ ცოდვებს,  
შენს განვლილ გზაზე დაყრილს გორებად,  
ხედავ სანატრ დროს, დახარჯულს ფუჭად,  
ცდილობდი წლების გადაგორებას,  
ფიქრობდი, ნეტავ, მალე დაღამდეს,  
გათენდებოდეს ნეტავი მალე,  
არად აგდებდი დროს დამბერებელს,  
ამ თვისა არის ამბობდი ხვალეც.  
ვითომ, გიყვარდა ვინც გულში გყავდა,  
ვითომ, ტკბებოდი ლამაზის ჭვრეტით,  
გეგონა სხვასთან მეტ სითბოს გრძნობდი,  
სითბო კი გყავდა ყოველთვის გვერდით.  
ახლა კი რაა, დაბერებულხარ,  
ახლა კი მიხვდი, მაგრამ რაღა დროს,  
აზრით წარსულის სურათებს ფურცლავ,  
შავი ფიქრები ლალად ნავარდობს.  
უმაქნისი ხარ, ზედმეტი ბარგი,  
ფიქრობ, რომ დროა მიქელას მოსვლის,  
სიკვდილს უფრთხოდი, ახლა კი ნატრობ,  
არ გეშინია იმ ქვეყნად წასვლის.  
შენც წახვალ განა, სხვა რა ჩარაა,  
ამქვეყნად ყველა ერთ გზას მივყვებით,  
არ მოვკვდებიო, მუდამ ვიცოცხლებ,  
ამას ფიქრობენ მხოლოდ ბრიყვები.

2014 წ.

\* \* \*

რადგანაც ღმერთმა კაცად დამბადა,  
ტვირთი მომკიდა დიდი,  
ვიცხოვრო კაცად, მომავლისათვის  
რომ ვიყო გზა და ხიდი.  
კაცი მაშინ ხარ, როდესაც  
სხვები გნათლავენ კაცადა,  
თავის ქება და ტრაბახი  
არა ღირს კიტრის ფასადა.  
კაცს რომ კაცობა უწუნო,  
კაცად შენ უნდა ვარგოდე,  
წარმოთქმულ სიტყვებს სწონიდე,  
სხვის ზურგს არ უნდა ბარგობდე.  
იმ ქვეყანაში რომ წახვალ,  
ჯიბეს მოიჩხრეკ ცარიელს,  
მიხვდები ვერსად იყიდი,  
მაქებარსა და მადლიერს.  
ყველას აქ რჩება ნახვეჭი,  
თუკი რამ მოუპოვია,  
სახელის გარდა ფუჭია,  
რაც კი რამ მოგიგროვია.  
კაცი ყველაფერს მოიმკის,  
ქვეყნად რაც დაუთესია,  
სიკეთის ქვაზე დადება,  
ესეც ერთგვარი წესია,  
მადლის მკეთებელთ გახსოვდეთ,  
მარილიც მოსაყრელია.  
კაცის ცხოვრება ბევრისთვის  
საყურედ გასაყრელია.  
კაცის კაცობის გაგება,  
მხოლოდ კაცების წესია,  
კაცი კაცსა სცნობს, გული-გულს,  
ღმერთს ასე დაუწესია.

2014 წ.

\* \* \*

ქართველო დედავ, დატანჯულო, ცრემლად დაღვრილო,  
მუხლმოდრეკილი შვილის საფლავს ხელებს უსვამდი,  
ღმერთს ავედრებდი მოსაგონრად კაცის სიცოცხლეს  
და საუკუნოდ შენს ცხოვრებას წერტილს უსვამდი.  
ბუნების ძალნო, რად იტვირთეთ ამხელა ცოდვა,  
რად მოაშორეთ საქართველოს სიცოცხლის წელი,  
ნუთუ არა გაქვთ სამართალი და შეცოდება,  
რატომ ადინეთ დაბერებულს ცრემლები მწველი.  
დედის გული კი კვლავ ანთებდა სანთლებს საფლავზე  
და კვლავაც იდგა მუხლმოდრეკით ცრემლებმდინარი,  
გმირის საფლავს კი დასველებულს მშობლიურ ცრემლით  
აღვრიდა სხივებს წითელი მზე პირმომცინარი.

1993 წ.

\* \* \*

შარვლის ტარება არ ნიშნავს კაცსა,  
რადგან შარვალი აცვია ქალსაც.  
ღვინის დალევა არ ნიშნავს კაცსა,  
რადგანაც ქალსაც უვლია მთვრალსა.  
კაცად ცხოვრება ღვთისა მადლია,  
კაცის ნათქვამი გადადგამს მთასა.  
კაცად ცხოვრება კაცთა წესია,  
ძალზე ძნელია ასწავლო სხვასა.

2015 წ.

\* \* \*

ბრძოლა, ტკივილი, სისხლის ღვრა, ცრემლი...  
ქართველთ მიზანი მხოლოდ ერთია,  
სამშობლოსათვის, ჩემს ქვეყნისათვის, სულის მიცემა  
საცხონეთია,  
ყველა კუნჭული მტკივანი არის, დაბლობია თუ მთიანეთია,  
ყოველი კუთხე ნაბოძი ზეცით ღვთისმშობლისაგან  
ერთადერთია.

განა არსებობს ქვეყნად სხვა მხარე, რომ მტრისთვისაც კი  
მზიანეთია,  
შესამუსვრელად თუკი მოსულა, დაგვიხვედრია ჯოჯოხეთია,  
ენა, მამული, სარწმუნოება, ჩემიანების სალოცვეთია,  
ვერ წაგვართმევენ ერთ მათგანსაც კი, თუნდ თავს დაგვეცეს  
ცისქვეშეთია.

2015 წ.

\* \* \*

ხან მწუხარება მერევა, ხანაც ფიქრი და დარდია,  
როდესაც ვხედავ ქვეყანა, როგორი დარდიმანდია,  
ერთურთის გულში დაკორტნა ესეც ნაცადი ფანდია,  
კეთილი თესლის მაგივრად გვითესავს ეკალ-ბარდია.  
არ განირჩევა ქართველი, თუ არ ქართველობს სხვაზედა,  
თავის ჩაქინდვრა ვერ იზამს მშვიდობას ქვეყანაზედა,  
უქარქაშო ხმლის მისია, ზრუნვაა მომავალზედა,  
ყველა ქართველად შობილი დიდია უფრო მთაზედა,  
სხვის ზურგზე წამოკიდებას, ვცდილობთ გვგონია კარგია,  
არ გვინდა, რომ დავიჯეროთ, ვიქნებით გუდა-ბარგია,  
მონობით კუჭგამაძლარსა არ დაელევა ხარკია,  
ძვირფას ქურქს არვინ გაჩუქებს, ქურდობაც არა ვარგია.  
მტრობას ქართველის მომრევად უქმნია ისევ ქართველი,  
დღეს მომხვეჭლობა დიდია, ვიდრე ვაჟკაცის სახელი,  
აღარა ხიბლავს ჩვენს ჭვრეტას საკუთარ ქვეყნის მთა-ველი,  
ვინძლო, იქამდე მივიდეთ, ცაშიც დაგვარგოთ მფარველი.

2011 წ.

\* \* \*

თეთრი ვარდები, შავი სიკვდილი  
რატომ მოვედი ქვეყნად?  
მე და სიყვარულს ჩახუტებულსა  
მიწას მიგვაყრი ერთად.  
მიწას მიმაყრი და გამშორდები,  
ვითომ ვიღაცას უცხოს,  
შენ გეშინია, რომ ჩემმა გულმა  
შენს პატარა გულს უხმოს.  
საფლავის თავზე ჩუმად ირხევა  
პატარა თეთრი ვარდი.  
ვიცი, რომ გძულდი, მაგრამ გახსოვდეს,  
იყავი შენ ჩემი დარდი,  
მე აღარ შეგთხოვ ვარდის მოწყვეტას,  
იყოს იტიროს მარტომ,  
თეთრი ვარდები ღმერთო ამქვეყნად  
რად უნდა იყოს, რატომ?!  
იმ ქვეყანაში დაგელოდები,  
იქნებ გაგილდვეს გული,  
იქნებ შეიგრძნოს შენმა სხეულმაც  
უკვდავი სიყვარული.  
დაგელოდები, ვფიცავ, იცოდე,  
თუნდ მე რომ მოვკვდე იქაც,  
შენთვის ჩემს სიკვდილს განა აზრი აქვს,  
ხომ უნდა მოკვდეს ვიღაც.

1988 წ.

\* \* \*

მე დამესიზმრა ჯოჯოხეთი, ბნელეთი, შავი.  
თითქოს სამარეს ხელები ჩემკენ გამოეშალა,  
თითქოს ოცნება ჩემი შენთვის გაბრწყინებული,  
ქვეყნიერებას ლუციფერის მთლად წაეშალა.  
მე გამოგყვები უკუნეთო ყოვლის მომცველო,  
სულ ალარ მინდა ზეცის ნახვა და მზის ნათელი  
ხატნო დამლოცეთ და მაპატიეთ თუ სამუდამოდ,  
თქვენს ფერხთით ჩაქრეს მოციმციმე ჩემი სანთელი.  
მე ხომ გავხდები ჯოჯოხეთის უკვდავი შვილი  
და უკვდავების სადღეგრძელოს მოგიძლვნი, ვფიცავ,  
შენ უკუნეთო, ჯოჯოხეთო, გეყოფა ცრემლი.  
ვერ ამოივსე მკვდრებით მკერდი, ბოროტო მიწავ?  
მათ არ გააძლობს ჩემი სხეულის სისხლი და ცრემლი,  
სიკვდილის ბოლოს აჩუქეთ ყველამ ერთმანეთს ვარდი,  
ფეხზე წამოვდგეთ და დავლიოთ ღვინო მირონი,  
მას გავატანოთ შავი ფიქრი, ბოლმა და დარდი,  
ჩვენ სიყვარულის სადღეგრძელო შევსვათ ხმამალლა,  
იქნება მიხვდე, ჩემო გოგოვ, მე შენ მიყვარდი.

1988 წ.

\* \* \*

ნელა ჩამობნელა და მაღალ ხეებს  
მთლად ჩაუმუქდათ დიდრონი მხრები.  
ხავსი მოსდებოდა ირგვლივ ყველაფერს,  
გამწვანებულიყო ბებერი ქვები.  
ბებერი ქვები, ცივნი და ბრძენი  
ბევრის მნახველნი და ბევრის მთქმელნი,  
მეჩურჩულებოდნენ უკვდავ სიყვარულზე,  
რომ ის ძლიერია და მრავლის მქმნელი.  
ხელი გადავუსვი მე ხავსს მობიბინეს.  
იგი შეიშმუშნა, ჩემი არა ხარო.  
მარტობა ვიგრძენ, გული გამეყინა,  
ჩუმად დაუკარი სიყვარულის ქნარო,  
რომ ვერ დავივიწყებ იმის ლამაზ თვალებს,  
რომ ის ეყვარება ამ ჩემს გაყინულ გულს,  
ლოდებს ავარიდე თვალი ნამიანი,  
ცრემლებს ვერ ვმალავდი ღვარად ჩამოარულს,  
განზე ჩუმად გავდექ ცოცხლად გაყინული,  
მკერდში ოდნავ სცემდა სიყვარულის გული,  
ლოდი ილიმოდა, რითლაც მოხიბლული,  
ნუთუ მას ხიბლავდა ჩემი სიყვარული.

1988 წ.

\* \* \*

ეს სადლეგრძელო შენი იყოს უკვდავებისა,  
შენ უკვდავი ხარ ოცნებაში შავად მღელვარში,  
შენ ლამაზი ხარ, როგორც ია მწვანე ბალახზე,  
შენ სიცოცხლე ხარ, როგორც რაში, ტატოს მერანში,  
ძლიერ მიყვარხარ დედამიწის ნაზო ფერიავ,  
მე გეუბნები ჯოჯოხეთის უკვდავი შვილი,  
ოჳ, ჯოჯოხეთი, როგორ მცივა დაბლა ბნელეთში,  
აქ უკუნეთში ცრემლის ტბაა წინ გადაშლილი.  
ეს ცრემლებია, მოსაგონრად შენთვის დაღვრილი.  
ლამაზი ქალო, ანგელოზო, ქვეყნის ფერია,  
შენთვისა ვცოცხლობ, შენთვის ვსუნთქავ, შენთვის მოვკვდები  
და შენ გეკუთვნის სიყვარულზე რაც მიმღერია.  
ეჳ, დაიცალა ფიალები და სადლეგრძელო,  
ეჳ, წაიშალა მოგონება ყოვლის მომცველი  
და მხოლოდ დარჩა ერთი ბიჭი მუხლებზე მდგარი,  
ცრემლებმდინარე, გაყინული, შენზე მლოცველი.

1988 წ.

\* \* \*

მარტოდ დარჩენილი არვის ვედარდები,  
მხოლოდ მახარებდა თეთრი მთების ცქერა.  
ეჳ, მათსავით ვიყავ სულმთლად გაყინული  
და ვერ გამათბობდა მე, ვერავინ ვერა.  
ცაში ავიხედე, ჩემს ვარსკვლავს ვეძებდი  
განმარტოებით მდგარს, მკრთალად მოციმციმეს.  
ცრემლი გადმოვარდა და მის შემხედვარე  
იმ სხვა ვარსკვლავებმა ჩუმად გაიცინეს.  
შენ, ჩემო ვარსკვლავო, რატომდა ციმციმებ,  
რატომ დაისველე გრძელი წამწამები,  
ნეტავი გათენდეს, მაგრამ, ეჳ, რად მინდა,  
ხვალაც კვლავ იქნება ლამე ნაწამები.

1988 წ.

\* \* \*

დღესაც იწვიმებს ალბათ ისევე,  
შემოვბრუნდები სახლში კვლავ სველი,  
დავჯდები კართან და მოუთმენლად  
ჩემი ლექსების პასუხს მოველი.  
იმედად შემრჩა მხოლოდ ერთი რამ,  
ეს არის ჩემი ნატანჯი გული,  
მასაც გაჩუქებ პატარა ქალო,  
რომ განვამტკიცო მე სიყვარული.  
უაზროდ ვზივარ სახლში მარტოცა,  
ფანჯრებზე წვიმა ჩამოდის ნელა,  
არ მომინდება შენ გარდა არვინ  
და ვერ გამათბობს ვერავინ ვერა.  
გარეთ კი წვიმა ხმაურობს ისევ  
და მე ისევ ვარ ძლიერ მოწყენით,  
ჩემს გულს არღარა აღარ ახარებს,  
ვერთობი მხოლოდ წვიმის მოსმენით.

1988 წ.

\* \* \*

პასუხებს ველი ჩემო პატარავ,  
ველი ვითარცა ყვავილი წყალსა.  
ყვავილსა უნდა წყლისა პკურება,  
თორემ დააჭკნობს მზე მას საწყალსა.  
ღრუბელს უყვარს ქარის ქროლვა,  
რომ აცეკვოს ცაში ტანი.  
დედამიწას უყვარს ზურგზე  
აზიდული დიდი მთანი.  
ირემს უყვარს თავისი ნუკრი  
და ნაგარდი მინდორ-ველად  
ვერ დაუშლის მას ვერავინ,

გარდეკილნენ თუ გინდ მტერად,  
არნივს უყვარს გაშლილ ფრთებით,  
რომ გადაუფრენს მაღალსა მთასა,  
სიცოცხლე უყვარს ყველა არსებას  
და ნუ მიმოკლებ, გთხოვ, შენ მე მასა.

1988 წ.

\* \* \*

ღამე, სიბნელე, ქარის ზუზუნი,  
ამ ჩემმა გულმა მზეს შეგადარა,  
როგორ მიყვარხარ, შენ ხომ არ იცი,  
ჩემო ლამაზო, ჩემო პატარავ!  
ზუზუნებს ქარი ხის ტოტებს შორის,  
ჩემი ფიქრებიც მასთან დაქრიან,  
შავ ღრუბლებს შორის მხოლოდ ხანდახან  
ის შორეული ვარსკვლავნი კრთიან.  
ცრემლი გაერია ღამის სიბნელეს,  
შავი ფიქრები თავს მეხვევიან,  
ასე მგონია, რომ საუკუნოდ  
შენი ხელები სხვას მოეხვევიან.  
ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემია,  
ამ ყველაფერში მე ვარ დამნაშავე,  
შენ მაპატიე, გთხოვ მაპატიე,  
ჩემი სიყვარული, რომ გავაშავე,  
გულის კუნჭულში თუკი გიღვივის  
პატარა ნაპერნკალი დიდი სიყვარულის,  
ეგეც მაპატიე, კვლავაც მაპატიე,  
თხოვნა უბროდ, მარტოდ დაჩაგრულის.

1988 წ.

\* \* \*

შენი ბავშვური სიცილი  
მე გულში მუდამ ჩამრჩება,  
შენი ციმციმა თვალები,  
მოგონებადღა დარჩება.  
ცივი ახალწლის საღამოს  
მინდა დავხუჭო თვალები.  
თვალდახუჭულმა ჩურჩულით  
ხატთან დავანთო სანთლები.  
გულით გილოცავ ახალწელს,  
ალბათ არ გაგეცინება,  
შენც მომილოცე პატარავ,  
უტყვად ნუ დაგეძინება.  
ვნატრობ, რომ ჩემზე ფიქრობდე,  
ვნატრობ, მიჩვენო გული,  
ოცნებებში და ფიქრებში  
თვალს არ მეკარვის რული.  
ძალიან მიყვარს ეს გოგო,  
ახალო წელო მისმინე,  
დიახ, მე მიყვარს, მე მიყვარს,  
მთელო ქვეყანავ ისმინე!

1988 წ.

\* \* \*

წვრილადა სცრიდა წვიმა იმ ღამეს.  
ღამე ტირილით თანამიგრძნობდა.  
ორი სანთელი შანდალზე ენთო,  
ჩემი გული კი შენზე ფიქრობდა.  
ღამეა ჩემი მესაიდუმლე,  
წვიმა კი ჩემი თვალის ცრემლები,  
დამნამე წვიმავ, კვლავაც დამნამე,  
სახეზე როგორ ცივად მევლები.  
აღარა მშველის წვიმის წვეთები,  
აღარც სანთელი შანდალს დამდნარი,  
მინდა რომ მოვკლა წარსული მარად,  
დაუმრეტელი ცრემლის ავდარი.  
კვლავ მომავალიც ფუჭი იქნება,  
ფუჭი იქნება ოცნება ჩემი,  
ვისთვის ვლოცულობ მუხლმოდრეკილი,  
აღარ მისმენენ სიონი, გრემი.  
ხანგრძლივ ლოდინში ჩამოვბერდები  
დავემსგავსები თოვლიან ქედებს,  
ლამაზ ოცნებებს ქარს გამოვატან,  
ან მოღულუნე ვერცხლისფერ მტრედებს.  
იქნებ მოფრინდნენ მტრედები შენთან,  
ჩემო ოცნებავ, არ დაბერდები,  
არ მიმატოვებ, არ გათეთრდები,  
ვითარც ერთგული თეთრი გედები.  
დაგელოდები, იცოდე მუდამ,  
თუნდაც რომ ვიყო ამქვეყნად მარად,  
უშენოდ რაა ეს ყველაფერი,  
ჩემი სიცოცხლე არა ღირს არად.

1988 წ.

\* \* \*

ქვეყნის სახე მომავალი, ბიჭი არის მინდია,  
ისტორიის მწერალი და მომავალის გიდია,  
უყვარს უცხო კაცი ქალი, დევიდი და ლიდია,  
ქართველი და მათი მოდგმა სულ ცალფეხზე ჰქიდია,  
დანავარდობს, დაკუნტრუშობს, ფიქრობს, სხვაზე დიდია,  
ქართველთათვის ეს სოფელი მუხანათი, ფლიდია.  
გაზაფხულზე ქვეყანაში შემოდგომის ბინდია.  
სიცოცხლიდან სიკვდილამდე ერთი ბეწვის ხიდია.

2011 წ.

\* \* \*

ასე გვგონია, მუდამ ვიქენებით, მკლავი და მუხლი მუდამ გაგვიჭრის,  
არ გავტყდებით და არ დაგბერდებით, ვიქენებით მარად ოცი  
წლის ბიჭი,  
რომ არა სძინავს მიქელ-გაბრიელს, რად უნდა ამას ბრძნობა  
და ნიჭი,  
სიცოცხლეს მხოლოდ მაშინ ვაფასებთ, როცა ძალიან გვიჭირს.  
ამ ქვეყნისაკენ თუ გამოვბრუნდით, არ გვახსენდება ალთქმული  
ფიცი,  
არც ის გვაშინებს, რომ მგლის ლუკმაა დედის წინაშე მხტუნავი  
კვიცი,  
რომ წუთისაა წუთისოფელი, ყველამ მშვენივრად ვიცით,  
მაგრამ არ გვჯერა, სანამდის თვალნი არ დაგვემსება მიწით.  
ხოდა გახსოვდეს, რომ მოკლე არის წუთისოფელი, სიცოცხლე  
ჩვენი<sup>1</sup>  
სანამდე დრო გაქვს, სცადე მოასწრო, კაცად იცხოვრე,  
სიკეთე ქმენი,  
იქართველე და იყავ ქართველი, არ შეირცხვინო ჯიში და გენი,  
სიცოცხლე ღმერთის საჩუქარია, მას გაუფრთხილდი, ვალია შენი.

2015 წ.

\* \* \*

რა გვინიათ, დილით თვალს რომ გავახელ, ორმოცდახუთი წლის კაცი ვარ, უცილობლად ნახევარზე მეტი, რომ აქვს გავლი-ლი ცხოვრება? გონება ათასი საზრუნავით გამოჭედილი, სხეული დამძიმებული, გაზარმაცებული და არაფრის გამგონე, გული კი გაორგულებული და უგულო? არა, ბავშვი ვარ, ის ბავშვი და ის მდ-გომარეობა, რომელიც ყველაზე ძალიან მენატრება და რომელიც არასოდეს განმეორდება. ის ლამაზი წლები ვარ, როდესაც ჩემს სულს უზრუნველობის შეგრძნება ამსუბუქებს და აფრენას ცდი-ლობ. ის ხასიათი ვარ, რომელშიც ბოროტება, მტრობა და შური არ არსებობს. ის სხეული ვარ, რომელმაც ტკივილი არ იცის, რა არის, ის ოცნება ვარ უკიდეგანო კოსმოსში და ოკეანის ფსკერზე, რომ გამოგზაურებს ერთ წამში. ის ზღვასავით უძირო თვალები ვარ, რომელიც სიყვარულით არის სავსე, იმდენად წრფელი, წმინდა და სპეტაკი სიყვარულით თვით ღმერთის დანახვაც კი შეუძლია. წამო-ვიმართები თუ არა საწოლიდან, ზვავივით მწყდება და იქ, სადღაც სიშორეში, იკარგება ჩემი ბავშვობა. მხოლოდ სუსტი სითბო და სი-ნათლე სწვდება ჩემს მომავალს წარსული შორეთიდან.

2015 წ.

\* \* \*

ქართული ტრადიციული ოჯახი სიბნელეში ანთებულ სანთელს ჰგავს, იგი იმედი, დაცვა და უსაფრთხოებაა ჩვენი წარსულის და აწმოსი. საქართველოს ხვალინდელი დღეა. სილამაზე და თა-ვისუფლება. უკიდეგანო სიყვარული, სიცოცხლე და დაბადებაა შენი მომავლის, მომავლისა, რომელიც სიკვდილამდე მუხლს არ ჩაგაკრეფინებს, ხელებს დაგიკოურებს, აგაფორიაქებს და ღამეს გაგატებინებს და ამ ყველაფერს სიხარულით და სიყვარულით გააკეთებ. ოჯახი წყნარი და მყუდრო სიბერეა. ეს შემოდგომაა, როდესაც გაზაფხულით შენს დარგულს და დათესილს იმკი, პა-ტრონობ, ეფერები, ელოლიავები, ეხები და ხედავ. ხვავია და ბა-

რაქა, რის იმედადაც მოახლოებული ზამთარი ვერ გაშინებს. ოჯახი ღვთის კანონთა მორჩილებაა კანონთა ურომლისოდაც აღსავლის კარს ვერასოდეს შეაღებ.

2015 წ.

\* \* \*

სამშენებლო მასალების ბაზრობაზე შევეძი, ხელოსნების თხოვნით, რომლებიც ჩემთან სოფელში მუშაობენ და საკმაოდ გრძელი ჩამონათვალის ფურცელი მოვიმარჯვე. რადგანაც სია დიდი იყო, ურიკა ვიქირავე, ვიფიქრე, ერთნაირად გავიტან ყველაფერს მეთქი მანქანამდე. დავამთავრე ყიდვა და მანქანის მიმართულებით წავედი მე, ჩემი გადახაზული ჩამონათვალით და მტვირთავი სავსე ურიკით. ძალიან ვჩეკარობდი ჩემს გარშემო მყოფთ ყურადღებას არც კი ვაქცევდი. უცბად შევჩერდა. რამდენიმე წამის წინ გავლილმა კადრებმა მეხსიერებაში თითქოს თავიდან გაიელვეს. მოვტრიალდი და რამდენიმე მეტრის მოშორებით შავებში ჩაცმული ბებო დავინახე, ხალხის ბრძოში წვალებით რომ იკვლევდა გზას. სიბერისგან ისე მოხრილიყო, რამის სახით ეხებოდა მინას. ერთ ხელში მის ზომაზე გამოჩინილი ჯოხი ეჭირა და ზედ ეყრდნობოდა, ხოლო მეორეში, - ცარიელა ჭიქა მოწყალებისათვის. პირველი, სიბრაზე იყო რაც დამეუფლა წამიერად, ვინ გამოუშვა სახლიდან-მეთქი, გავიფიქრე. მეორე წამს იმ აზრმა გამიელვა, იქნება არც გამომშვები ჰყავს და არც სახლში დამხვედრი-მეთქი. გული შემეკუმშა. მივედი, ჯიბეში მსხვილი კუპიურა მედო, ცარიელი ჭიქა გამოვართვი და ფული ხელში ჩავუკუჭე. თითქმის კოჭებამდე დახრილი თავი მოაბრუნა გაღიმებულმა. სწრაფად გავეცალე, თან ცრემლები მახრიბდა და ერთი სიტყვაც რომ მეთქვა, აგტირდებოდი. თან არც ბებოს მადლობების მოსმენა მინდოდა რატომდაც. მტვირთავს ხელი და-ვუქნიე და იქვე მდგომ ჩემს მანქანასთან მივედი. უცბად ტანში სისხლი გამეყინა. რამდენიმე წამის წინ მომლიმარი ბებოს სახე წარმომიდგა თვალნინ, დაღარულ-დაჭმუხნული, დროს რომ თავისი კვალი ღრმად დაემჩნია და კონტრასტი, აბსოლუტური კონტრასტი მისი თვალებისა სხეულთან. ეს არ იყო მინამდე მოხრილი, ოთხ-

მოცს გადაცილებული ადამინის თვალები. ეს რაღაც უძირო და უკიდეგანო ქვეყანა იყო სითბოთი, სიყვარულით და მადლიერებით სავსე. ეს მსოფლიო იყო, რომელიც თითქოს ჩემს ქცევას უყურებდა მოხუცის ნატანჯ სახეზე არსებული თვალებით. ელდანაცემი შემოვბრუნდი მოხუცისკენ, მაგრამ იგი ხმაურით მოძრავ ბრძოში უკვალოდ გამქრალიყო, ჩემს გონებაში კი ერთი და იგივე ფრაზა მეორდებოდა, უფლისგან ნათქვამი: „ყველა მათხოვარში მე ვარ“.

14 ოქტომბერი 2015 წ.

\* \* \*

სტუმრად მისულს ერთი წლის ბავშვი, გაბრწყინებული თვალებით თუ კისერზე ჩამოგეეკიდა და ჩაგეხუტა უცხოს, ნუ იფიქრებ, თუ რა ანგელოზი ხარ. უბრალოდ, იცოდე, ანგელოზი გიჭირავს ხელში.

10/02/2017

\* \* \*

ადამიანთა ზნეობის გაუმჯობესება იყო ლიტერატურის უპირველესი მიზანი, მაშინაც კი, როცა გამოქვაბულებში დასახლებული ჩვენი წინაპრები მართალსა და გამოგონილს ერთმანეთში ლამაზად აზავებდნენ და ქმნიდნენ ისეთ მარგალიტებს, როგორებიცაა: „ამირანი“, „ვეფხვი და მოყმე“ და სხვა. სწორედ ამ შორეულ ეპოქაში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთა გმირობაზეც იწერებოდა ეს ბალადები და რომელთა საქმეებზეც იზრდებოდა მომავალი თაობა, საქართველოს მომავალი. დღესაც ვხვდებით წინაპართა ნაკვალევს, დღესაც არსებობენ საქართველოში გმირი მამულიშვილები. სწორედ წინა თაობის გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ვიბრძოლოთ მომავლისთვის, იმ მდგომარეობისათვის, რომელსაც გაბრწყინებული საქართველო ეწოდება.

ალბათ არ არსებობს ადამიანი, რომელსაც მისაბაძი პიროვნება არ ჰყავდეს, ალბათ ვამბობ იმიტომ, რომ მე ასეთი პიროვნება რამდენიმე დღის წინ შევიძინე.

ორ მაისს ჩვენმა კლასმა გადავწყვიტეთ, ლაშქრობა მოგვეწყო იალნოს მთაზე. ძალიან გვინდოდა მარტყოფის ღვთაების მონასტრის ნახვა. დილით შევუდექით, ერთი შეხედვით, გრძელ და მომქანცველ გზას. რამდენიმე საათის შემდეგ გამოჩნდა ღვთაების გუმბათი. ულამაზესი რამ არის ღვთაების სამონასტრო კომპლექსი. იგი მეექვსე საუკუნისაა და დღესაც არ შესცვლია პირვანდელი სიდიადე. მონასტრერში რომ შევედით ბერი დაგვხვდა. იგი არაფრით გამოიჩინდა იქვე ეზოში მოფუსფუსე ბერებისგან. ცოტა ხანს გავჩერდით შიგნით, შემდეგ გარეთ გამოვედით, იქვე დავსხედით და დავიწყეთ ულამაზესი ხედებით ტკბობა.

ბერი მონასტრიდან არ გამოვიდა, დამაინტერესა რას საქ-მიანობს-მეთქი და კვლავ შევპრუნდი, რომ დამინახა, ხელი და-მიქნია, კედელთან ტრიალებდა. თაროზე სანთლებს ალაგებდა, ყველა სანთელს ზომის მიხედვით ფასი ედო. გამყიდველი არსად ჩანდა. უნებლიერ შევეკითხე: „ვინ ყიდის სანთლებს?“ თან ცოტა არ იყოს შემრცხვა, თითქმის საათია მონასტრში ვიმყოფები და სანთლები ახლადა შევნიშნე. გაელიმა, შემდეგ ჩაფიქრდა. „ზნეობა დავკარგეთ... შეიძლება ამით ბევრს არაფერს ვაკეთებ, მაგრამ ასე აჯობებს, ეწყოს სანთლები და ყველამ თავისი ფასი გადაიხადოს“, მომიგო მან. ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა მეხსიერებაში. შემდეგ ხელი მომხვია და იქვე დამსვა, ალბათ ჩვენი ბრალი იყო ცხრა აპი-რილიც, ჩემი თაობის, გვავიწყდებოდა, რომ ერი, რომელიც თა-ვისუფლებისთვის არ იბრძვის, დასაღუპავად არის განწირული. ამოიოხრა, შევხედე და მის თვალებზე ცრემლი შევნიშნე. თვალი მომარიდა, წამოდგა და სანთლების დალაგება განაგრძო.

ვაკვირდებოდი ამ ადამიანს და ჩემში თითქოს რაღაც იღვიძებ-და, რაც, ადრე თუ გვიან, უნდა გაეღვიძებინა ვინმეს.

უცბად მოტრიალდა და მკითხა: „ბერობა თუ გინდა?“ ასეთი კითხვა არავის დაუსვამს და პასუხი დავუგვიანე. „არა?“ – მკით-ხა კვლავ, თავი გავიქნიე, ახლოს მოვიდა დაიხარა, მხარზე ხელი დამადო და ხმადაბლა მითხრა: „ყველამ უნდა ვაკეთოთ ის, რი-თაც ქვეყანას და ხალხს გამოვადგებით“ მომკიდა ხელი და მო-ნასტრიდან გამოვედით. ჩემი კლასელები ამასობაში მონასტრი-დან, რამდენიმე ასეული მეტრის მოშორებით, კლდის ქიმზე, ღვთის

ნებით და სასწაულებრივად ცამეტ ასურელ მამათაგან ერთ-ერთს, წმინდა ანტონ მარტყოფელის მიერ აშენებულ სვეტზე ასულიყვნენ და იქიდან ისმოდა მათი ჟივილ-ხივილი. „შენს ასაკში არც მე მინდოდა ბერობა – გააგრძელა ბერმა – „გამოუსადეგარ საქმედ მიმაჩნდა“. რატომ? მიგელწია სიმაღლეებისთვის და შენც გამოსადეგი იქნებოდი-მეთქი. გაელიმა და დინჯად მომმართა: „სამოქალაქო ცხოვრებაში მიზანი უნდა გქონდეს და თან მრავალი, მის გარეშე სიცოცხლეს აზრი არა აქვს, გამოდგომით კი სიმაღლეების გარეშეც შეგიძლია გამოადგე შენს ერსა და ქვეყანას. სამღვდელო პირთა ცხოვრება კი სხვანაირია. აქ დღესდღეობით უპირველესი მიზანი სამღვდელოების ქვეყნისთვის მხარში ამოდგომაა. შენს ასაკში თავს არ ვთვლიდი იმდენად მომზადებულად და ჩამოყალიბებულად, რომ სხვებთან ერთად ეპოქის ეს უდიდესი დავალება მხრებით მეტარებინა. მკითხავ ალბათ როგორ მოემზადეო? სრულიად ჩვეულებრივად, თუკი გინდა დიდი საქმისთვის თვით ცხოვრება მოგამზადებს. უბრალოდ საჭიროა დღეების, რომლებიც ვისთვის წყლის წვეთებივით ჰგვანან ერთმანეთს და ვისთვის არა, სწორად გამოყენება. ჩემი აზრით, განვლილი დღეები სწორად გამოვიყენე და შენც ამას გირჩევ, თორემ ჩემი ხნის რომ გახდები და უკან მოიხედავ, სიბნელის მეტს ვერაფერს დაინახავ“.

საღამო ახლოვდებოდა მონასტრიდან რომ წამოვედი, თითქოს უკან რაღაც მრჩებოდა. იქ ზემოთ მიჭერდა და არ მიშვებდა. ჩემს კლასელებს ვუზიარებდი შთაბეჭდილებებს. ყველა მათგანი ჩუმად მოდიოდა. ჩემში კი ჯდებოდა და ფესვებს იდგამდა პიროვნება, რომელმაც ჩემს მომავალს ახალი მიმართულება მისცა და რომლის მაგალითით ვიცხოვრებ ალბათ დღესაც.

ივლისი, 1989 წელი

\* \* \*

ბრძენის შთამომავალიც გვყავდა, უდიდესი გამოცდილების მქონეც, ნიჭიერი და მრავალ ენაზე მეტყველიც და უმდიდრესიც, მაგრამ ქართველთ სისხლის, ცრემლის, ტკივილის, დაქუცმაცების და დამცირების მეტი არაფერი მიგვიღია რა. მხოლოდ სამშობლოს უზომოდ მოყვარული, ღვთის მოშიში და ადამიანთა ტკივილის გამზიარებელ ქართველებს შეეძლოთ ყოფნის მანძილზე ქვეყნის ხსნა, ქვეყნის, რომელიც დღეს გაბრწყინებისთვის კი არა, ყოფნა არ ყოფნისთვის იბრძვის.

2015 წ.

\* \* \*

ღმერთო, რომ განწმენდილი ვარ ხორცით და სულით იმიტომ არ მოვდივარ შენთან, არამედ იმედი, რომ მაქვს შენი კაცომოყვარეობის, რომ განმწმენდ მე ცოდვილს ყოველმხრივ.

2015 წ.

\* \* \*

მოკვდავნი ვართ და ვერ ვაცნობიერებთ, თავი უკვდავად მი-გვაჩინია. ჩვენ გვერდით დამდგარ სიკვდილსაც, კარგად შესრულებულ თეატრალურ სცენასავით შევცქერით. ვერ წარმოგვიდგენია, რომ სპექტაკლის მონანილენი ან კიდევ მთავარი როლის შემსრულებლებიც კი გავხდეთ ყოველ წუთს. მართლა უკვდავნი რომ ვიყოთ, საშინელ მხეცებად ვიქცეოდით. მადლობა უფალს.

2015 წ.

\* \* \*

ლოცვისათვის, მარხვისათვის, პირჯვრის წერისას, ქედის მოხრისას და მუხლის მოყრისას სალოცავისადმი შენ გარშემო მყოფთაგან დაცინვა და ქილიკი მიგიღია? გახსოვდეს შენ მათზე ახლოს ხარ ღმერთთან.

2015 წ.

\* \* \*

როდესაც რაიმე სახის კომფორტს გთავაზობენ, აუცილებლად ღირებულს წაიღებენ სანაცვლოდ. კომფორტი მხოლოდ ერთ შემთხვევაშია მისაღები, თუ მას თვითონ ქმნი.

2015 წ.

\* \* \*

თითოეული ადამიანის სიცოცხლე პატარა ნაკადულს ჰქავს, ნაკადულს, რომელიც მდინარეს ერთვის, ბოლოს კი ჩანჩქერად იქცევა და შეცვების ნისლში იკარგება უსასრულობაში. ჩვენ თითქოს ერთმანეთისგან განვსხვავდებით, მაგრამ სინამდვილეში ერთნაირები ვართ, ღვთის სახედ და ხატად შექმნილი. ჩვენ ყველანი ადამიანები ვართ, უბრალოდ, შრომა და მეცადინეობა გვჭირდება ჩვენი თავების აღმოსაჩენად.

2015 წ

\* \* \*

ურნებულობები ადამიანის ორი უდიდესი შეცდომა ისაა, რომ ახალგაზრდას თავი უკვდავი ჰქონია, ხოლო მოხუცს – სიკვდილის შემდეგ არაფერია.

2015 წ.

\* \* \*

ამპარტავნობაში ვცხოვრობთ და გვევრია, მხოლოდ ჩვენ ვართ კეთილნი, ძლიერნი, გამცემნი და უკან არაფრის მომთხოვნი. ეს არის ჩვენი სიბრძმავე. თვალის ახელა რომ შევძლოთ და მიმოვიხედოთ, აუცილებლად დავინახავთ ჩვენ გვერდით მყოფთ, რომელთა უანგარობა და სიყვარული მოყვასის, ქვეყნისა და უფლისადმი გზას გაგვინათებდა. ადვილად შევძლებდით სხვათა დაფასებას და შეყვარებას და თუ ადამიანთა შეყვარებას შევძლებთ, ღმერთსაც ვეყვარებით, რადგან ღმერთი სიყვარულია.

2015 წ.

\* \* \*

რამდენად ბრგე და კუნთმაგარიც არ უნდა იყო, ძლიერად მაშინ ჩაითვლები, როცა შენზე პატარის და უმწეოს დაჩაგვრას გონებაში არც კი გაივლებ. ხოლო მის მიმართ შეპრალებისა და მიხმარების სურვილი თუ გაგიჩნდება და აგამოძრავებს, მარტო დიდი და ძლიერი კი არა, რჩეულიც იქნები.

2015 წ.

\* \* \*

დავიზრდებით, დავსრულწლოვანდებით, დავკაცქალდებით და თავნი ცისხელა გვგონია. ვტრაბახობთ ჩვენ მიერ აშენებული ხიდებით და შენობებით, მოკირნყლული გზებით და ქუჩებით და ვერ ვამჩნევთ საუკუნეების წინ აშენებულ ცათამბჯენებს, ხიდებად რომ არის გადებული, მოკირნყლულ ხიდებად ცასა და დედამიწას შორის, ჩვენსა და ღმერთს შორის. თითოეული გუმბათი რომლის თავზეც ჯვარია დამაგრებული, ხიდია, გზა არის, გაშვერილი ხელი და გულია ღმერთისკენ. ჩვენ კი მოკვდავთ არჩევანის უფლება გვაქვს ხიდზე შედგომის, ხიდზე რომლის ბოლოსაც გაშვერილ ხელს გამოწვდილი ხელით შეეგებებიან და გახსნილ გულს-გულით. ხიდზე, რომლის ბოლოსაც აუცილებლად ვნახავთ ჩვენს ამქვეყნიურ ნათესს, მომკილს მარცვალ-მარცვალ.

2015 წ.

\* \* \*

მინდორში ტრაქტორს ველოდებოდი. მითხეს დააგვიანდებაო. ტელეფონში რაღაც თამაში ვიპოვვე ჩანქრილი და ვცადე დრო მომეკლა. რადგანაც თითქმის არ ვთამაშობ, რამდენიმე ძალიან ცუ-დად ნათამაშები პარტიის შემდეგ შევატყვე ტელეფონი ცდილობ-და დამხმარებოდა, ყოველი წაგების შემდეგ სვლებს მიადვილებდა და უფრო ადვილად გამოსაცნობს ხდიდა. ძალიან გამიკვირდა, ამ უსულო საგანსაც კი შეუძლია გაჭირვებულის დახმარება, ჩვენ კი, ადამიანები, გაჭირვებულ თანამოძმეებს ვერც ვამჩნევთ, ხოლო ღმერთისკენ თუ არ გაგვიხედავს არასდროს, იქნებ ფეხი დავადგად

და გავსრისოთ კიდეც. ვფიქრობ, დიდი დრო გვჭირდება, შევძლოთ ის, რასაც ჩვენივე შექმნილი პატარა ტელეფონი აკეთებს.

2015 წ.

\* \* \*

მოვა დრო, კაცობრიობა შეძლებს გონის სხეულისგან განცალკევებას. ულამაზესი ენით აღუნერელი პერიოდი იქნება ადამიანთა მოდგმის ისტორიაში. გონი რომ სხეულზე, ხორციელზე ფიქრში დროს არ დაკარგავს, მატერიალურზე რომ არ იზრუნებს. ეს იქნება დღე უდიდესი, დღე სასწაული. სწორედ მაშინ დაგვჭირდება ყველაზე მეტად ადამიანებს, რომ ადამიანებად დავრჩეთ. დაგვჭირდება ზუსტად ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ ჩვენც შექმნილნი ვართ, თუნდაც სახედ და ხატად. იმ დროს თუ სწორად მოიქცევა ადამიანი, იქნება ერა სიმშვიდის, სიყვარულის და ნეტარებისა. სხვა შემთხვევაში, დადგება ის მდგომარეობა, რომელსაც დღეს ჩვენ მეორედ მოსვლას ვეძახით და ბრალი იმას, ვისაც ოდესმე თავი ლვთისათვის გაუტოლებია.

2005 წ.

\* \* \*

ავად მოსაგონარი 90-იანები სულს ღაფავდა და თან მიჰქონდა ასი ათასობით ქართველის მიერ განვლილი ცრემლი, ტკივილი და გაჭირვება. არც მე ვიყავი უკანასკნელი ამ ადამიანთა თვალუწვდენელ რიგში.

დეკემბრის მშრალი და ცივი დილა იყო. ავლაბრის მეტროს გასწვრივ, დღესაც არ ვიცი დასახელება ბანკის, კარი შევაღე და შიგნით შევიტანე ექვსი ლარი ჯიბით, რაც მთელი ჩემი ახალგაზრდა ოჯახის ბიუჯეტი იყო, სულმთლად გაყინულ-გათოშილი სხეული და სულ მცირე, მაგრამ იმედი, იქნებ რაიმე სახის სესხი ავიღო და სოფელში ძროხას თუ ვერ შევწვდი, ქათმები მაინც მეყიდა, ბავშვებისთვის მცირედი სარჩო შემექმნა. როგორც ზემოთ ნახსენებ ქართველთა უმრავლესობას, ის პატარა იმედიც მომიკლეს რამდენიმე წუთში და თავაზიანად კარისკენ მიმითითეს. არადა ჩემი სოფლის

სახლი, როგორც სხვა დანარჩენი გაჭირვებული ქართველის, ნამდვილად ღირდა გაცილებით მეტი, ვიდრე ის რამდენიმე ასეული ლარი, რასაც სანაცვლოდ ვითხოვდი.

ნებივრობაში გაზრდილი ან მყოფი, ვერასოდეს წარმოიდგენს, როგორ შეიძლება გიყვარდეს და გეცოდებოდეს შენი ოჯახი, როდესაც თავს ზემოთ ძალა არ გაქვს.

ზურგს უკან კარის მოხურვის ხმამ გამომარკვია საშინელი ბურანიდან. სულ მცირედი იმედი კიაფობდა, მხოლოდ ერთი დღის, მაგრამ იმედი. ბაზარში ხუთ ლარად გაყინული ქათამი მომდიოდა ბავშვებისთვის და ერთი ლარით სოფლამდე მივაღწევ მეტქი. ვიფიქრე ნავთლულამდე ფეხით გავალ, სამარშრუტოს ფულს დავზიგავ, თანაც სიარულში უფრო გავთბები. თავი გავიმხნევე, ქათამს ვიყიდი და ავტობუსს გავყვები სოფელში. პირი ვიპრუნე ნავთლულისკენ და დაახლოებით ასი მეტრის მოშორებით ადამიანი დავინახე ტროტუარზე იწვა. ლოთი მეგონა. გავიფიქრე, მოკვდება ამ ყინვაში ეს უბედური-მეტქი. ფეხს ავუჩქარე, შევნიშნე ხელს მაღლა წევდა, თითქოს მანქანის გაჩერებას ცდილობდა. გავიქცი, რომ მივირბინე, ლოთის მაგივრად, სულ ახალგაზრდა გოგო შემრჩა. სახეს დიდი თბილი შარფი უფარავდა სანახევროდ. ძალიან ღრმად სუნთქავდა. „წამლები სახლში დამრჩა და შეტევა მომცა, დამეხმარე, ტაქსი გამაჩერებინე“ – ძლივს ამოილულლუდა. საავად-მყოფოში წაგიყვან-მეტქი. თავი გაიქნია, ტაქსი გამიჩერე, მერე მევიციო. ტაქსი გავაჩერე, ხელში ავიყვანე, უკანა სავარძელში დავაწვინე. მძღოლს ხუთი ლარი მივეცი, გოგოს შევეკითხე მისამართი, თუ გახსოვს-მეტქი. ოდნავ გაელიმა, კარი მივხურე და ავტომობილი წავიდა. ყველაფერი ისეთი ელვის სისწრაფით მოხდა, რომ მანქანების საყვირის ხმაზე მივხდი, გზაზე ვიდექი. ტროტუარზე რომ ავდგი ფეხი, ვინანე, იქნებ საავადმყოფოში წამეყვანა-მეტქი. ერთმანეთს ცვლიდა ცუდი აზრები. ის ფულიც აღარ მაქვს, ბავშვებისთვის ქათმის ყიდვას რომ ვაპირებდი. უფალო, შეენიე ყველა გაჭირვებულს.

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ. ღვთის მადლით, ცოტა სული მოვითქმით მე და ჩემმა ოჯახმა. პირად მცველად ვმუშაობდი და ბედს არ ვუჩიოდი.

მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიჯექი და განვლილ ბნელ წლებს ვიგონებდით ნაღვლნარევი ხუმრობით. მსუბუქად ვიყავით შეზარხოშებული, რომ რამდენიმე მაგიდის მოშორებით მჯდომარებან დაუინებული მზერა ვიგრძენი. ორი მანდილოსანი და ოთხი ახალგაზრდა კაცი საუბრობდნენ და დროდადრო ჩვენი მაგიდის მიმართულებით იყურებოდნენ. ალბათ, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას თუ ვუნახივართ-მეთქი, გავიფიქრე. ქალთაგან ახალგაზრდას სახეზე შეეტყო, რომ რაღაც გადაწყვეტილება მიიღო, გვერდით მჯდომარებელი გადაულაპარაკა და ექვსივე ჩვენი მაგიდისაკენ გამოემართა. პირდაპირ მომიახლოვდა მომლიმარი სახით – „გამარჯობა!“ გაგიმარჯოს-მეთქი, მივუგე და ფეხზე წამოვდექი. ეს დედაჩემია, ეს ჩემი მეუღლე და ესენი უფროსი ძმები,“ – კვლავ იღიმის. დავძაბე გონება, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი მისი სახე არსად მენახა. უცბად მომიახლოვდა, ჩამებუტა, „დიდი მადლობა,“ – ყურში ჩამჩურჩულა. ახლა კი წამდვილად დავრწმუნდი ვიღაცაში ვეშლებოდი. შემდეგ დედა ჩამეხუტა და იგივე მითხრა. ოთხივე კაცმა ხელი ჩამომართვა, მხარზე მოტყაპუნებით. პირი გავაღე სათქმელად, ვიღაცაში გეშლები-მეთქი, რომ ახალგაზრდა გოგომ თქვა: „მას შემდეგ წამლები აღარასდორს მავიწყდება“. გამახსენდა ტროტუარზე წაქცეული ახალგაზრდა გოგო. „დაგინახე თუ არა, მაშინვე გიცანი“, – სიცილით მომიგო. კიდევ ერთხელ ჩამეხუტა, მადლობა გადამიხადა და ექვსივე დამემშვიდობა. არც თვითონ უკითხავთ და მეც ისე ვიყავი დაბნეული და გაოცებული ასეთი უცაბედი შეხვედრით და დამშვიდობებით, რომ სახელი არც კი ვკითხე. თუმცა კი რა საჭირო იყო. ბიჭებს მოკლედ მოვუყევი უცნობი გოგოს ამბავი და გავაგრძელეთ პატარა ჭიქით ერთმანეთის მოფერება. გვიანი იყო, რომ დავამთავრეთ და ანგარიში მოვითხოვე. „თქვენი გადახდილიაო“, – მითხრა მიმტანმა. გამელიმა...

გაცემულ მადლს არც ღმერთი კარგავს და არც ქართველი ადამიანი.

\* \* \*

შიში იმისა, რომ ვისთვისაც დაუფიქრებლად მივცემ დარჩენილ ცხოვრებას, შეიძლება ჩემზე ადრე წავიდეს ამ ქვეყნიდან, სიკვ-დილს მანატრებს.

\* \* \*

ეკლესიაში სიარული უცილობლად უფლის გვერდით ყოფნას არ ნიშნავს გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ უეკლესიობა ნამდვი-ლად უღმრთობაა.

\* \* \*

მტერი ჯერ დააფასე და შემდეგ შეაფასე, საქონელი კი ჯერ შეაფასე და შემდეგ დააფასე.

\* \* \*

ბედნიერია ის ადამიანი, რომელსაც წარბშეუხრელად თუნდაც ერთი ადამიანისთვის შეუძლია საკუთარი სიცოცხლის გამეტება. ამ მდგომარეობაში იგი სიყვარულის მწვერვალზე იმყოფება.

\* \* \*

ვთვლი, რომ თავმდაბლობაა უმაღლესი. იგი მოკვდავში თანა-გრძნობის და თანადგომის სურვილს ბადებს. ეს სამი რამაა ამქვეყ-ნად ადამიანობისკენ და იმ ქვეყნად სასუფევლისკენ გზისმკვლევი.



სტამბა დამანი  
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6

☎ 214 34 01, 577 33 38 57

stamba.damani@gmail.com

■ სტამბა დამანი / Print House Damani